LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY

Digitally signed by: LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY
DN: CN = LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY C = GE O = LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY
Date: 2022.07.07 16:47:45 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება:	ელექტრონული ტენდერი
შესყიდვის ობიექტი:	შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ქ. წნორის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვის სამუშაოების შესყიდვა (45260000 - გადახურვისა და სხვა სპეციალური სამშენებლო სამუშაოები).

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. თბილისი 7 ივლისი 2022 წ.

თემა: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ **ქ. წნორის** არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვის სამუშაოების შესყიდვის (45260000 - გადახურვისა და სხვა სპეციალური სამშენებლო სამუშაოები) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება და სატენდერო კომისიის შემადგენლობაში სატენდერო კომისიის არა მუდმივიმოქმედი წევრის მოწვევა.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:	
დირექტორი	**გიორგი შუხოშვილი**
კომისიის წევრები:	
დირექტორის მოადგილე	**ანდრია დვალი**
დირექტორის მოადგილე	**ვახტანგ ბარამია**
ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის უფროსი	**გიორგი პეტრიაშვილი**
იურიდიული დეპარტამენტის მთავარი კოორდინატორი	**მაკა ნიქაბაძე**
კომისიის შემადგენლობაში მოწვეული არამუდმივი კომისიის წევრი:	
ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი	**მამუკა ტვილდიანი**
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:	
ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის მთავარი კოორდინატორი	**ნოდარი ფოცხვერაშვილი**
ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის უფროსი კოორდინატორი	**ეთერი ჩოხელი**

შენიშვნა: სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი - ვახტანგ ბარამია (შვებულებაში ყოფნის გამო).

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის ინფორმაცია სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც **ქ. წნორის** არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვის სამუშაოების შესყიდვის მიზნით უნდა გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT). შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 424 000 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით, რაც დადგენილი

იქნა საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით. ხოლო, საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილი იქნა შემსყიდველის მიერ ანალოგიური და მსგავსი ტიპის სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული ტენდერების ანალიზით, კერძოდ: NAT210020938; NAT210019007; NAT210019006; NAT210019004; NAT210010617; NAT210010616; NAT210010615; NAT210010614; NAT210010611; NAT210008892; NAT210005464; NAT210005460; NAT210005458.

<u>სატენდერო კომისიამ დაადგინა:</u>

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ტექსტი;
2. ქ. წნორის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვის სამუშაოების სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის შემადგენლობაში, მოწვეული იქნას სატენდერო კომისიის არა მუდმივიმოქმედი წევრი ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი - **მამუკა ტვილდიანი.**
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია, ასევე წინამდებარე ოქმი განათავსოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე

გ. შუხოშვილი

კომისიის წევრები

ა. დვალი

მ. ტვილდიანი

გ. პეტრიაშვილი

მ. ნიქაბაძე

აპარატის წევრი:

ნ. ფოცხვერაშვილი

ე. ჩოხელი